ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენდა 12 745.5 ათას ლარს. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტის მოცულობა დღეის მდგომარეობით გაიზარდა 14 445,4 ათასი ლარით და ჯამში შეადგინა 27 190,9 ათასი ლარი. თანხის უდიდესი ნაწილი დამატებითი ღირებულების გადასახადზე მოდის. მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხების ოდენობა განისაზღვრა 11 815,9 ათასი ლარით, მათ შორის:

1. #75 განკარგულებით (რეგ ფონდი) გამოიყო - 5 590,8 ათასი ლარი;
2. #1419 განკარგულებით (საპილოტე) გამოიყო - 2 233,9 ათასი ლარი;
3. #277 განკარგულებით (სოფელი)) გამოიყო - 730,0 ათასი ლარი;
4. #131 განკარგულებით (სტიქია) გამოიყო - 1 825,0 ათასი ლარი;
5. #51 განკარგულებით 902,3 ათასი ლარი მ.შ. ტრანსპორტირება 755,3
   საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურა - 147,0 ათასი ლარი
   #926 განკარგულებით გამოიყო - 533,9 ათასი ლარი
   ასევე მივიღეთ ფინანსური დახმარება (სპეციალური ტრანსფერი) 1450,0 ათასი ლარის ოდენობით.

ინფრასტრუქტურული მიმართულებით განხორციელებული და მიმდინარე პროექტები:

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 6 ივნისს #978(შევიდა ცვლილება 2022 წლის 26 იანვრის #131 განკარგულებაში) განკარგულების საფუძველზე 2020-2022 საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო:

1. 1, 067434 ლარი - სოფელ შუა ამაღლების მამათა მონასტრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
2. სოფელ ამაღლებაში ტაძართან და გურული ენდემური ჯიშის ღვინის მარანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 403 940 ლარი;
3. ორპირას 1-2 ეტაპი: ახალი რეკრეაციული სივრცის შექმნა და ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა 1 545 006 ლარი;

4. სოფელი ხიდისთავში ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია და ეთნოგრაფიული სივრცეების მოწყობა 252 500 ლარი;
5. სოფელ გორაბერეჟოულში დენდროლოგიური პარკის მოწყობა 1583 951 ლარი.

მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტი გურიის რეგიონში (60 000 000). აქედან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შუა ამაღლება ვანზომლეთის სახელმწიფო მნიშვნელობის გზის რეაბილიტაცია. 10კმ მონაკვეთი (11 213 577ლარი) CHINA ROAD AND BRIDGE CORPORATION

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტის ფარგლებში:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფელ ბუკისციხე, ვანი და სამება სკოლების რეაბილიტაცია 6 912 461ლარი;
2. დაბა ბახმაროში პარკის რეაბილიტაცია 1 373 777 ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო 5 587 005 ლარი. უმეტესობა მათგანი დასრულებულია, დანარჩენში მიმდინარეობს აქტიური პროცესი. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენაზე სულ 2022 წელს შესრულდა 83 802 ლარის სამუშაო.

2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 7 დეკემბრის ჩათვლით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის და ინფასტრუქტურის სამსახურის, არქიტექტურის და სივრცითი მოწყობის განყოფილების მიერ გაიცა 27 მშენებლობის ნებართვა, სამშენებლო მოსაკრებლის ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 44 995,33 ლარი.

სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისთვის და მედიკამენტების ღირებულების დასაფარავად ქვეპროგრამით გათვალისწინებული იყო 450 000 ლარი, ხარჯმა კი შეადგინა 426 500 ლარი.

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის მიმართულებით ქვეპროგრამით გათვალისწინებული იყო 278 000 ლარი, დახმარების ხარჯმა 279 000 ლარს გადააჭარბა.

მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი სტიქიური მოვლენების შედეგად და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს გაეწია 160 000 ლარის დახმარება რაც გეგმის 100% - ია.

72 მრავალშვილიანმა ოჯახებმა მიიღო 94 200 ათასი ლარის ფინანსური დახმარება ქვეპროგრამით გათვალისწინებული იყო 100 000 ლარი.

დიალეზზე მყოფმა 14 პირმა მგზავრობის ღირებულების ხარჯის დასაფარავად ისარგებლა 24 220 ლარის ფულადი დახმარებით.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა ევროკავშირის გრანტი მოიპოვა.

მერიამ თანააპლიკანტ ორგანიზაციებთან (ინოვაციების და სამოქალაქო განვითარების ცენტრი - პროგრესის სახლი და პოლონეთის სოლიდარობის ფონდი საქართველოში) ერთად გაიმარჯვა საგრანტო კონკურსში პროექტით - ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ. ბიუჯეტის საგრანტო ღირებულებაა 800 000 ევროს ფარგლებში. აქედან მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა იქნება გამოყოფილი გრანტის 7%.

დამტკიცდა საპრივატიზაციო ობიექტების 2022 წლის ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა. განხორციელდა 32 ერთეული უძრავი ქონების საკადასტრო და 30 ერთეული ობიექტის შიდა აზომვითი სამუშაოების ორგანიზება. აღირიცხა და ბალანსზე გატარდა 29 ობიექტი (ღირებულებით 538 228 ლარი). მუნიციპალიტეტში ქონების განკარგვიდან ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა 47 305 ლარი, იჯარით გაიცა 4 ერთეული ობიექტი, წლიური საიჯარო ქირა შეადგენდა 1712 ლარს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და კავკასიის რეგიონული გარემოს დაცვითი ცენტრის ორგანიზებით და მხარდაჭერით შემუშავდა მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარებისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის ელ. ვერსია.

განხორციელდა ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების ბაზის აღრიცხვა ენერგო აუდიტისთვის, რომელიც ხორციელდება პოლონეთის სოლიდარობის ფონდის მხარდაჭერით. ამ მიმართულებით ადმინისტრაციულ ერთეულებში დამონტაჟდება 594 ქუჩის ლედსანათი მუნიციპალიტეტის 50% თანადაფინანსებით.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ 2022 წელს სახელმწიფო შესყიდვები განახორციელა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტისა და სახელმწიფო შესყიდვების 2022 წლის გეგმის შესაბამისად.

2022 წელში სულ ჩატარებული იქნა 103 ელ. ტენდერი, მათ შორის არ შედგა 7, უარყოფითი შედეგით დასრულდა 3, შეწყვეტილია 1 ელ. ტენდერი. ერთ ტენდერში მონაწილეთა რაოდენობამ საშუალოდ შეადგინა 2.73 მონაწილე.

დღეის მდგომარეობით სულ გაფორმებულია 199 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

ელექტრონული ტენდერებით შესყიდვების განხორციელების მიზნით მერის ბრძანებით შექმნილი იყო სატენდერო კომისია 5 კაცის შემადგენლობით და სატენდერო კომისიის აპარატი 3 კაცის შემადგენლობით. სულ ჩატარებული იქნა 117 კომისიის სხდომა განხილული იქნა 206 საკითხი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებს მონიტორინგს ჩოხატაურის ტერიტორიაზე, რათა დროულად მოხდეს გამოვლენა და სამართლებრივი რეაგირების განხორციელება ყველა სამართალდარღვევასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით საყურადღებოა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უნებართვო დაკავების ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების განხორციელება.

ზედამხედველობის სამსახურმა, 2022 წლის ივნისში მოახდინა დაბა ბახმაროში უნებართვო მშენებლობების ინვენტარიზაცია და გამოავლინა 1000 მდე უნებართვოთ აშენებული და დაურეგისტრირებელი შენობა-ნაგებობა. 2022 წელს გამოიცა სამშენებლო სამართალდარღვევისთვის დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში 16 ჯარიმა-დემონტაჟი, რომელიც კანონით გათვალისწინებული ვადების მიხედვით აღსასრულებლად გადაცემული იქნა აღსრულების ეროვნული ბიუროს გურია-აჭარის სამსახურში. კანონის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა სააღსრულებლო ფურცლები, რის შედეგადაც აღსრულების ეროვნულმა ბიურომ დაიწყო სამართლებრივი ღონისძიებების გატარება. დაფიქსირდა პირველი ჯარიმის გადახდაც, რომელმაც შეადგინა 25 000 ლარი და ჩარიცხული იქნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოხდა საკითხის ინიცირება საგზაო უსაფრთხოების მიზნით, ახალი საგზაო ნიშნების და მონიშვნების დაყენების შესახებ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფლებამოსილებას წარმოადგენს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებული ა(ა)იპ - ების საქმიანობის კონტროლი და სახელმწიფო პოლიტიკის გატარება. აღნიშნული სამსახური ხელს უწყობს: კულტურული და შემოქმედებითი ცხოვრების განვითარებას ახალგაზრდებში და მათ ჩართულობას სასარგებლო საქმიანობაში. შეიქმნა ჩოხატაურის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო, საბჭო შედგება 15 წევრისგან. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ ხელი შეუწყო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის სამოქმედო გეგმის განხორციელებას. მერიის მხარდაჭერით და დაფინანსებით დაიწყო სასაუბრო ინგლისური ენის შემსწავლელი უფასო

სამთვიანი კურსი მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდებისთვის. კონკურსის ფარგლებში შეირჩა 11 მონაწილე.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის საფუძველზე რეზერვში ჩაირიცხა - 78 მოქალაქე. აქედან ზღვრული ასაკის შესრულების გამო -72, სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის გამო -6.

თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში გაიგზავნა -5 მოქალაქე. საკონტრაქტოდან დათხოვნილია -8 მოქალაქე, რასაც სამსახურის მიერ გაუკეთდა სათანადო რეაგირება.

სხავადასხვა უწყებიდან შემოსული მომართვების საფუძველზე მოიხსნა საერთო აღრიცხვიდან 4 მოქალაქე და სპეცაღრიცხვაზე გადაყვანილ იქნა -5 მოქალაქე.

2022 წლის გაზაფხულზე სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 2005 წელს დაბადებული - 72 ჭაბუკი. სამხედრო სამსახურში ფუნქციონირებს გამწვევი კომისია. საანგარიშო პერიოდში მიღებულია- 239 გადაწყვეტილება. აქედან გაწვევის შესახებ - 58, გადავადების შესახებ - 181. სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ -3.

სამსახურის მიერ თბილისის შემკრებ გამანაწილებელ პუნქტში სამხედრო სამედიცინო კომისიაზე გადაყავნილ იქნა 48 წვევამდელი, აქედან 40 წვევამდელს ჯანმრთელობის მდგომარეობით მიეცა სხვადასხვა ვადით გადავადება, მხოლოდ -8 წვევამდელი გახდა ვარგისი სამხედროსამსახურისთვის.

შიდა აუდიტის 2022 წლის დამტკიცებულ გეგმაში მოხვდა 3 აუდიტორული შემოწმება:

1) მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის შესაბამისობის აუდიტი. მიზანი - სამსახურის მიერ დანერგილი პროცესები და ამ პროცესების შესაბამისად განხორციელებული საქმიანობის ადეკვატურობის შესწავლა. იყო თუ არა სამსახურის მიერ 2020 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა, მისდამი კანონით მინიჭებული და პირიქით ხო არ არის ისეთი საკითხები უყურადღებოდ დატოვებული რომელთა შესრულებაც კანონით ევალებოდა სამსახურს.

2) სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური . მიზანი - სამსახურის მიერ დანერგილი პროცესები და ამ პროცესების შესაბამისად განხორციელებული საქმიანობის ადეკვატურობის შესწავლა. იყო თუ არა სამსახურის მიერ 2020 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა, მისდამი კანონით მინიჭებული და პირიქით ხო არ არის ისეთი

საკითხები უყურადღებოდ დატოვებული რომელთა შესრულებაც კანონით ევალებოდა სამსახურს.

3) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო, არაკომერციული, იურიდიული პირები. ***მიზანი :*** შემუშავებული აქვთ თუ არა სამსახურის გამართულად ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საბაზისო დოკუმენტაცია (დებულებები,სამუშაოთა აღწერილობები...) გააჩნიათ თუ არა რისკების შეფასების დოკუმენტი. ახორციელებენ თუ არა კონტროლის კომპონენტების დანერგვას და დოკუმენტირებას.

რა მოსამზადებელი კომპონენტებისაგან შედგება ბიუჯეტირების პროცესი და ჩამოყალიბებულია თუ არა ის ორგანიზაციის მიზნებთან მიმართებაში . რა პროცესებია დანერგილი თანამშრომელთა შერჩევისას და ყურადღება ექცევა თუ არა მათ განვითარებასა და შემდგომში შეფასებას.

შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ გეგმის შესაბამისად განხორციელებულია 2 ობიექტის აუდიტი, „მუციპალური შესაყიდვების“ და „სამხედრო აღრიცხვისა და მობილიზაციის“ სამსახურის. რაც შეეხება მესამე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების გეგმით განსაზღვრულ აუდიტს, მინდა მოგახსენოთ რომ აუდიტის პროცესი მიმდინარეა.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები.

2.1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების სამსახური.

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საჭიროებები დაიგეგმა არასაკმარისად, ყოველივე გულისხმობს, რომ შესყიდვების დიდი ნაწილი 2020 წლის თავდაპირველ გეგმაში ვერ აისახა.
- ჩოხატაურის მერიის მიერ, 2020 წელში განხორციელებული შესყიდვები გარკვეულ შემთხვევებში არ ხორციელდება წინასწარ დამტკიცებული გეგმის მიხედვით. ზოგიერთი cpv კოდით განხორციელებული შესყიდვა არ არის თანხვედრაში წლიური გეგმასთან.
- ადგილი აქვს ხელშეკრულების პირობების იმგვარად შეცვლას რომ, შედეგად გაიზარდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.
- დარღვეულია გეგმის შედგენის წესი და დგება ხელოვნური დაყოფის რისკი, რაც განიმარტება, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ერთი დაფინანსების წყაროდან

შესყიდვის ხელოვნურად შემცირებული რაოდენობით ან/და მოცულობით განხორციელება ან სხვა ქმედება, რომლის მიზანია კანონით და მის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მონეტარული ზღვრებისა და სხვა მოთხოვნებისათვის თავის არიდება.

- შემსყიდველის მხრიდან გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების სასარგებლოდ მოყვანილი არგუმენტები დასაბუთებულია არასათანადოდ. შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფაქტობრივ გარემოებებს და კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს. რაც თანხმობის გაცემის შემდგომ, შემსყიდველის მხრიდან შეუსაბამო გადაწყვეტილების მიღების რისკს ზრდის.
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით ირკვევა რომ, 2020 წელში განხორციელებული გამარტივებული შესყიდვებისას (გარდა სოფლის. პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებისა) ბაზრის მოკვლევა განხორციელდა ძირითადად ადგილობრივი საბაზრო ფასების გათვალისწინებით სატელეფონო საუბრის საშუალებით, რომელიც დოკუმენტალურად არ არის ასახული. სოფლის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების ბაზრის მოკვლევა კი განხორციელებულია ელექტრონულად. რაც შეეხება ელექტრონულ ტენდერების საშუალებით განხორციელებულ შესყიდვებს, სავარაუდო ფასების მოკვლევა ბაზარზე არ მომხდარა.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური.

ობიექტის მიერ იგნორირებულია, საქართველოს მთავრობის N247 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს: პირველადი სამხედრო აღრიცხვის დაწყებამდე, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებიდან სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვას, სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ. ასევე დარღვეულია როგორც საერთო ასევე დამატებითი სიების წარმოების ნორმები. რაც კიდევ ერთხელ გვაძლევს საშუალებას გამოვთქვათ მოსაზრება რომ სამსახური უგულვებელყოფს კანონის მოთხოვნების შესრულებას და ცვლის მას მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული ცვლილება შესაძლებელია დამაზიანებელი იყვეს დასახული მიზნის მისაღწევად. არ ხდება უწყებების გადაცემა სკოლებისათვის და შემდგომ მათი ჩაბარების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება (დადგენილების მიხედვით), მათ შორის უწყების არ ჩაბარების შემთხვევაში შესაბამისი მიზეზის მითითება.

მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის მიზნით გატარებული ღონისძიებები, არასაკმარისია. ორგანიზაციას მომზადებული არ ააქვს სრულფასოვანი ბაზა რაც მოგვცემდა სრულყოფილ ინფორმაციას არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. ობიექტს არ ააქვს სათანადო სიხშირის კომუნიკაცია საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, გამომდინარე აქედან მათი თანამშრომლობა არაეფექტიანია და შემოიფარგლება მხოლოდ ერთჯერადად წერილობითი მიმართვით.

აღნიშნული ფაქტი აუდიტის ჯგუფს აძლევა საშუალებას, რომ ვივარაუდოთ სამსახურის მიერ ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების გამო, შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს კანონის ძირითადი მოთხოვნების შესრულებას, რაც საფრთხეს უქმნის ცენტრალური ხელისუფლების მიერ დელეგირებული უფლება-მოსილებებისა და ვალდებულებების განხორციელებას. მაღალია რისკი იმისა, რომ მოქალაქეების, რომლებიც კანონით ექვემდებარებიან მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვას, თუ არ დაუდგათ პირადი საჭიროება სააღრიცხვო ბარათის ქონისა, საერთოდ ვერ მოხვდნენ როგორც პირველად აღრიცხვაზე, ისე გასაწვევთა სიაში.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებს ევალებათ დახმარება გაუწიონ გამწვევ კომისიაზე წვევამდელთა გამოცხადების პროცესს. ჩვენს მიერ შემოწმების შედეგად დადგინდა რომ, სამსახურმა როგორც საგაზაფხულო ასევე საშემოდგომო გაწვევისას წერილობით მიმართა პოლიციას დახმარების მიზნით, წერილს დანართის სახით დართული აქვს სახელობითი ჩამონათვალი. ობიექტი გაზაფხულის გაწვევაზე დახმარებისთვის მიმართავს მხოლოდ 41 პირთან მიმართებაში, ხოლო საშემოდგომო გაწვევაზე სულ 34 პირთან მიმართებაში. მაშინ როცა გაზაფხულის გაწვევაზე 223 პირი, ხოლო საშემოდგომო გაწვევაზე 298 პირი არ გამოცხადდა გამწვევ კომისიაზე.

ასევე აღსანიშნავია რომ მიუხედავად კანონის მოთხოვნისა რომ, შესაბამისი კანონიერი საფუძვლის გარეშე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტრუქტურული ერთეული ვალდებულია შეადგინოს სამართალ დარღვევათა ოქმი და გადასცეს სასამართლოს აღსასრულებლად, სამსახურის მიერ არც ერთი ოქმი არ არის შედგენილი და შესაბამისად სასამართლოს გადაცემული.

ზემოდმოყვანილი გარემოებები გვაძლევს საშუალებას გამოვთქვათ მოსაზრება შემდეგზე, რომ სამსახური ვერ ახერხებს მასზე დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას. მათ შორის:

1) გამწვევ კომისიაზე წვევამდელთა ორგანიზებულად გამოცხადების უზრუნველყოფას.

2) გამოუცხადებლობის მიზეზების დოკუმენტალურ ასახვას.

3) ელექტრონული (სახელობითი) სიების უზრუნველყოფას.

4) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენასა და სასამართლოსთვის გადაცემას.

რაც საბოლოოდ იწვევს საქართველოს მთავრობის მიერ დელეგირებული ვალდებულებებით მინიჭებული ძირითადი მოთხოვნების (დამტკიცებული გეგმის) შეუსრულებლობას.

საბოლოოდ სამსახურმა 2020 წელში სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმა დაბალი პროცენტული შესრულებით დაასრულა, 2020 წლის საგაზაფხულო გაწვევა 41%, საშემოდგომა გაწვევა 25%. მიუხედავად საქართველოს მთავრობის (რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო) მრავალჯერადი წერილობითი გაფრთხილებისა რომელიც ასევე ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე ობიექტის მიერ იქნა მოწოდებული.

3. შიდა აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად შიდა აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული ქმედებები.

ყოველი აუდიტის დასრულებისას, რაშიც ვგულისხმობთ ანგარიშის პროექტის ობიექტთან განხილვებისა და შეთანხმების შემდგომ, ანგარიშგების საბოლოოდ დასრულებას, ობიექტს ანგარიშთან ერთად გადაეცემა რეკომენდაციების შესრულების გეგმა, სადაც დეტალურად არის აღწერილი ყველა რეკომენდაცია და მისი შესრულებისათვის საჭირო კომპონენტების ერთობლობა. უნდა აღინიშნოს რომ ამ დროისთვის არცერთ ობიექტს (ვგულისხმობთ მუნიციპალური შესყიდვებისა და სამხედრო აღრიცხვისა და მობილიზაციის სამსახურებს) აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების გეგმა გრაფიკი არ განუხილია ჩვენთან და შესაბამისად ჩვენთვის არ არის ცნობილი რა მდგომარეობაა ამ მხრივ. უნდა აღინიშნოს რომ, აუდიტის სუბიექტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების პროცესში, ორგანიზაციის ხელმძღვანელის მონაწილეობა სასიცოცხლოდ აუცილებელია პროცესის სრულყოფილად განხორციელებისათვის.

რაც შეეხება ჩვენი მხრიდან აღნიშნული პროცესის ზედამხედველობას, მინდა მოგახსენოთ რომ აუდიტის სუბიექტი მუდმივ რეჟიმში ანხორციელებს მონიტორინგის პროცესს და წერილობითი სახით გააჩნია სტატისტიკური ინფორმაცია იმ რეკომენდაციების შესრულების შესახებ, რომლებიც სამსხურმა გასცა წინა წლეების განმავლობაში.

წინადადებები შიდა აუდიტის განვითარების შესახებ.

მოგეხსენებათ ჩოხატაურის მუნიციალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულად „შიდა აუდიტის“ სამსახური ჩამოყალიბდა 2015 წელს. 2015 დან 2018 წლამდე სამსახური ახორციელებდა მხოლოდ მუნიციპალიტეტში არსებული ა(ა)იპ-ბის აუდიტორულ შემოწმებას. 2018 წელს სამსახურმა ფუნქციონირების პერიოდში პირველად განახორციელა

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შ.პ.ს.-ბის შემოწმება. 2015 წლიდან 2019 წლის ბოლომდე სამსახურს არ განუხორციელებია მუნიციპალიტეტის მერიის შემადგენლობაში შემავალი სტრუქტურურლი ერთეულების შემოწმება (თუ არ ჩავთვლით მხოლოდ ერთ შემთხვევას სამსახურის შექმნიდან მალევე შესყიდვების სამსახურის შესაბამისობის აუდიტს).

ასევე 2020 წლის წლიურ გეგმაში პირველად იქნა გათვალისწინებული ორი მნიშვნელოვანი საკითხი: 1) მერიის სტრუქტურული ერთეულებში აუდიტის განხორციელება. 2) სისტემური აუდიტის განხორციელება. მიუხედავად იმისა რომ 2020 წელი მიმდინარეობდა პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების ფონზე, სამსახურმა მაინც შეძლო ამბიციური გეგმის შესრულება. ყოველივე ზემოდხსენებულიდან გამომდინარე ჩვენი სამსახურის მიერ განხორციელებული აუდიტორული მიდგომები და შემოწმების ტექნიკები კიდევ უფრო დაუახლოვდა თანამედროვე მოთხოვნებს, შესაბამისად დაიხვეწა ანგარიშები, რომელიც მარტივად საკითხავი და მეტად კონკრეტული გახდა მიგნებებისა და რეკომენდაციების მიმართულებით.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურს გააჩნია სამსახურის განვითარების მკაფიო ხედვა მუნიციპალიტეტის მერიის მომავალი განვითარების გეგმასთან შესაბამისობაში. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიდგომები შიდა აუდიტის სუბიექტთან მიმართებაში, რაც ახალი ხელმძღვანელობის პირობებში მკაფიოა და გამოიხატა კიდეც შიდა აუდიტის სტრუქტურაში ცვლილებით . 2022 წელს მუნიციპალიტეტის მერის დახმარებით სამსახურში შეიქმნა შიდა აუდიტის განყოფილება და შესაბამისად დაგვემატა დამატებით ერთი შტატი. რაც მანამდე სამსახურის ფუნქციონირების განმავლობაში არ მომხდარა.

მიუხედავად ყოველივე ზემოდხსენებულისა სამსახურს კიდევ ესაჭიროება ადამიანური რესურსის გაზრდა, ვინაიდან უზრუნველყოფილი იქნას შიდა აუდიტისა და ინსპექტირების ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა, ინსპექტირების და შიდა აუდიტის ფუნქციების აღრევამ შეიძლება გამოიწვიოს შიდა აუდიტის ფუნქციის შეზღუდვა, რასაც მოჰყვება შიდა აუდიტის სუბიექტის დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა და ნდობის დაკარგვა. ჩვენი ხედვით რაც შიდა აუდიტის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს ეყრდნობა, აუცილებელია სამსახურის ფუნქციებიდან გავიდეს ინსპექტირების ფუნქცია და სამსახურს დაემატოს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განყოფილება. აღნიშნული განყოფლება უზრუნველყოფს დაეხმაროს სამსახურს შიდა აუდიტის ძირითადი ფუნქციის განხორციელებაში,რაშიც ვგულისხმობთ ორგნიზაციის შიდა ფინანსური სისტემის შეფასებასა და მის გაუმჯობესებაში დახმარებას .

ასევე მნიშვნელოვანია და კრიტიკულად აუცილებელი სამსახურისათვის კვალიფიციური კადრების მოზიდვა-შენარჩუნება. სამსახურში დასაქმებული ადამიანები შესაძლებლობის ფარგლებში მუდმივად ჩართულები არიან სწავლება გადამზადების როგორც უფასო ასევე ფასიან პროგრამებში. უფასო სწავლების მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ მიერ ორგანიზებულ ტრეინინგ კურსებში მონაწილეობა. სამსახურს გააჩნია დონორებთან მუშაობის პრაქტიკა, დონორი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული ტრეინინგის ფარგლებში მოწვეული გვყავდა მაღალკვალიფიციური ტრენერი, რომელმაც გადაგვამზადა სისტემური აუდიტის კუთხით. ამ მიმართულებითაც გვაქვს თქვენი თანადგომის იმედი, რაშიც ვგულისხმობთ დონორ ორგანიზაციებთან მოლაპარაკების პროცესში თქვენს ჩართულობასა და თანადგომას.

ყოველივე ზემოდხსენებულიდან გამომდინარე კარგად ჩანს რომ თქვენდამი დაქვემდებარებულ შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურს, სასიცოცხლოდ ესაჭიროება ადამიანური რესურსის გაზრდა და დასახული მიზნების მისაღწევად თანამშრომლებისათვის სწავლებების ჩატარება.

მომავალშიც გვაქვს იმედი რომ, შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის წინაშე მდგარი სირთულეების გადალახვისათვის საჭირო რესურსების გათვალისწინება, რაც საბოლოოდ მერიის საქმიანობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

საანგარიშო პერიოდში, ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომლების მიერ გაწეული იქნა შემდეგი სახის სამუშაოები:

- რეგისტრაციაში გატარდა და გაიგზავნა 4101 წერილი; დარეგისტრირდა 7839 შემოსული წერილი და სხვადასხვა კორესპონდენცია, ელექტრონულად შემოსული 1396 წერილი და ms. gov.ge -დან შემოსული 4 განცხადება;
- მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირთა შესახებ მომზადდა 70 ცნობა/წერილი;
- ფოსტის რეესტრების მიხედვით გაიგზავნა 901 წერილი;
- დაარქივდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2010-2015 წლის დოკუმენტები;
- მომზადდა 70 ცნობა/ბრძანება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა სტატუსის შესახებ;
- ორგანიზება გაეწია მერიაში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული 13 კონკურსს;

- დაიგეგმა და ორგანიზება გაეწია 60 დასახლებაში სოფლის საერთო კრების ჩატარებას.

-საანგარიშო პერიოდში მოქალაქეების მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა უზრუნველყო 1000-მდე მოქალაქის მიღება მუნიციპალიტეტის მერისა და ხელმძღვანელი პირების მიერ.

სამსახური უზრუნველყოფს საქმიწარმოების პროგრამის ,,MSDA“ და მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირთა რეგისტრაციის პროგრამის (MMS) ტექნიკურ მხარდაჭერას.

განხორციელდა მერიის კანონიერი ინტერესების დაცვა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე მიმდინარე სამართალწარმოების პროცესში.

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მოთხოვნებიდან გამომდინარე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წელს შემოსულია საჯარო ინფორმაციის გაცემის 36 მოთხოვნა. ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ არ მიღებულა.